

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს 26.12.2008 წლის

სხდომის ოქმი №50, ამონაწერი

სხდომის თავმჯდომარე, სტუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, პროფ. ა. ფრანგიშვილი

სხდომის მდივანი პროფ. გ. სალუქვაძე

სხდომას ესწრებოდნენ სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრები:

პროფ. კ. ამირეჯიბი, პროფ. ს. შავგულიძე, პროფ. ა. ლაშხი, პროფ. ო. ზუმბურიძე, პროფ. ბ. ბოქოლიშვილი, პროფ. თ. ბაციკაძე, პროფ. ზ. ლომსაძე, პროფ. ზ. მგელაძე, პროფ. გ. სალუქვაძე, პროფ. გ. მჭედლიშვილი, პროფ. ნ. ფოფორაძე, პროფ. ზ. გასიტაშვილი, პროფ. თ. ჯაგოდნიშვილი, პროფ. ლ. დოღელიანი.

მოწვეული პირი:

სტუ-ს სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი, პროფ. ი. ლომიძე.

საბჭომ დაადგინა, რომ სტუდენტთა კონტიგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები;

პუნქტი II.13-ის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სტუ-ში ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე გადასვლა ხორციელდება სწავლების მეორე წლიდან მხოლოდ საგაზაფხულო სემესტრის, ანუ სასწავლო წლის დასასრულის შემდეგ.

ინსტრუქციას დაემატოს პუნქტი II.13¹ შემდეგი რედაქციით:

სტუ-ში შიდასაფაკულტეტო გადასვლა იწყება სწავლების მეორე წლის პირველი სემესტრის დასრულების შემდეგ და ხორციელდება კალენდარული წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ – შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე ან სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე.

საბჭოს გადაწყვეტილებით II.14 პუნქტს დაემატა “და სხვა საპატიო მიზეზებით“

სტუ-ს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, პროფ.

ა. ფრანგიშვილი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანი, პროფ.

გ. სალუქვაძე

სტუ-ს რექტორის თანაშემწე

ნ. კუპრაშვილი